MES 1 20 0000538693

30/06/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 19 ივნისს.**
სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომას ჩაერთოს ონლაინ.

Topic: **vet.autorization**
Joing Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/82282393811
Meeting ID: 822 8239 3811

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პმს კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)
მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (საბჭოს მდივანი);
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
გიორგიტრაპაიძე - სს ,,ენერგო - პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში- ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპსბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA
ჟუჟუნა ზოიძე - დირექტორი,
ჟუჟუნა პაიჭაძე - დირექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში.

შპსსაზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“
ვასილ კიკნაძე - დირექტორი,
მაია ჩიხლაძე - დირექტორის მოადგილე.

შპს ცხუმ - ეგრისი
ნონა თაკალანძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
სოფიო მაჭარაშვილი - რექტორი,
ალინა კუპრავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი,
მარიამ სეფაშვილი - სასწავლო პროცესის მენეჯერი.

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი „იმედი“
იზი იორამაშვილი - დირექტორი

შპს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი
თამარ აბულაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
ილია მატიაშვილი - საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“
რაინდი ლომაია - დირექტორი

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი
მახირ ბაირამოვი - დირექტორი,
ზვიად არძენაძე - დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“
იზოლდა ხალვაში - პროფესიული პროგრამების მენეჯერი (მინდობილობით).

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ფანასკერტელი“
შორენა ხაჭაპურიძე - დირექტორის მ/შ

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ირაკლი კორძაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მ/შ (მინდობილობით),
მამუკა გოგელია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი (მინდობილობით).

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
ნოდარ ხარაზიშვილი - დირექტორი

სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“

კარლო კერვალიშვილი - დირექტორი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
ქეთევან ჭუჭულაშვილი - იურისტი (მინდობილობით)

ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯი
მაკა ვარდოსანიძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებმაც მოიწერეს მათი წარმომადგენლის გარეშე განეხილა საბჭოს საკითხი:

1. შპს მარნეულის კოლეჯი;
2. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA;
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და კოლეჯების წარმომადგენლებს, მადლობა გადაიხადა, რომ საბჭოს წევრებმა ისევ მოახერხეს დისტანციურად შეკრება და განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად სხდომის აუდიო ჩანაწერი მზადდებოდა და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია. ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო დღის წესრიგი და იკითხა, რაიმე შუამდგომლობა ხომ არ იყო დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგი:
1. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში ცვლილებაში შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №125 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 ივლისის №127 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

2019 წლის 9 სექტემბრის №165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №204 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №187 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №216 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
9. შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის №218 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
10. შპს - მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №124 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
11. შპს - ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №143 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - კოლეჯი „მოდუსისათვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 4 თებერვლის №03 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
13. შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №190 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
14. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 09 სექტემბრის №170 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
15. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №57 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
16. სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №131 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
17. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №134 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
18. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №87 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

19. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №151 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
20. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №42 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
21. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 მარტის №34 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
22. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის №10 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა. ის მიესალმა საბჭოს წევრებს და დაწესებულებების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ საბჭოს ეს სხდომა მთლიანად ეძღვნება საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებებს. ცვლილებების დიდი ნაწილი განპირობებულია „აღმზრდელის“ ჩარჩო დოკუმენტის ცვლილებით. ასევე, ცვლილებები ხორციელდება კვალიფიკაციების ექვსნიშნა კოდების ოთხნიშნათი ჩანაცვლების გამო, რასაც დაწესებულებები ეტაპობრივად ითხოვენ, და ასევე ეტაპობრივად განიხილავს საბჭო. დაწესებულებებს 2020 წლის სექტემბრამდე აქვთ ვადა, რათა შესაბამისობაში მოიყვანონ სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან თავიანთ პროგრამები, კერძოდ, კვალიფიკაციის ფორმულირება და კოდები. ამდენად, ეს საკითხებია შეტანილი დღის წესრიგში. აქვე, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს სთხოვა შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. დღის წესრიგში 22 საკითხი იყო შეტანილი, მაგრამ სამსახური ითხოვს კიდევ ორი საკითხის დამატებას, ეს საკითხებია - სსიპ კოლეჯ ბლექსის შუამდგომლობა ერთ-ერთი პროგრამის გაუქმებაზე და ასევე, საავიაციო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადების მიზნებისთვის, ერთ-ერთი პროგრამის პარამეტრების დაკორექტირების თაობაზე.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა სხვა რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს განახლებულ დღის წესრიგს და თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო შემდეგი სახით დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში ცვლილებაში შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №125 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

4. შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 ივლისის №127 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის №165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №204 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №187 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №216 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
9. შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის №218 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
10. შპს - მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №124 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
11. შპს - ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №143 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - კოლეჯი „მოდუსისათვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 4 თებერვლის №03 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
13. შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №190 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
14. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 09 სექტემბრის №170 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
15. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის №10 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
16. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №57 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
17. სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №131 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
18. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №134 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
19. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №87 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
20. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №151 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
21. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №42 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
22. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 მარტის №34 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
23. სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
24. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა ნანი დალაქიშვილმა უფლება ითხოვა 15 ერთგვაროვანი საკითხის ერთიანი განმარტებისთვის. მან საბჭოს განუმარტა, რომ ერთი ტიპის საკითხებია დღის წესრიგში პირველიდან მეთხუთმეტე საკითხის ჩათვლით. ყველა ეს საკითხი ეხება ,,აღმზრდელის“ ჩარჩო-დოკუმენტში განხორციელებული ცვლილების გამო განმახორციელებელი დაწესებულებების პროგრამებში შეტანილი ცვლილებების ასახვას ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში. საკითხის არსი ასეთია: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 20 მაისის 58/ნ ბრძანებით ცვლილება შევიდა მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის 192/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,აღმზრდელის“ ჩარჩო-დოკუმენტში და მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. შესაბამისად, 22 მაისს, განმახორციელებელ 15-ვე დაწესებულებას, რომლებიც ამ ჩარჩო - დოკუმენტზე დაფუძნებულ პროგრამას ახორციელებენ, დაეგზავნათ წერილი და წარმოადგინეს შეცვლილი პროგრამები. ავტორიზაციის დებულების 53-ე მუხლის შესაბამისად, ცენტრს აქვს უფლებამოსილება, განიხილოს ასეთი სახის ცვლილებები, რაც განხორციელდა. სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი ცვლილებები, ამის თაობაზე არსებობს მონიტორინგის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათები და დაწესებულებების წერილებთან ერთად, ყველაფერი ატვირთულია საბჭოს მასალებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს, შპს ცხუმ-ეგრისს, შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს, შპს - მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს, შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს, სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტს არ ჰყავთ სტუდენტები ავტორიზებულ პროგრამებზე, სამსახური შუამდგომლობას აყენებს საბჭოს წინაშე, რომ შეიცვალოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი ამ თხუთმეტი დაწესებულების ავტორიზებულ აღმზრდელის/სკოლამდელი აღზრდის/სკოლამდელი განათლების პროგრამებში, მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვროს - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში და გადაწყვეტილებებში დაფიქსირდეს შესაბამისი კოდი - 0112. გადაწყვეტილებების პროექტები ატვირთულია და გაგზავნილია საბჭოსთან.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ ცალ-ცალკე განხორციელდა თითოეულ საკითხზე კენჭისყრა, რასაც თან ახლდა თითოეული შემთხვევაში ცვლილების პარამეტრების დასახელება.

1.შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხისგანხილვა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში ცვლილებაში შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, სკოლამდელი განათლების პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**

2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №125 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხისგანხილვა

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №125 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის ავტორიზაციის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №125 გადაწყვეტილებაში კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი2).**

3. შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხისგანხილვა

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №123 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 3).**

4. შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 ივლისის №127 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხისგანხილვა

-

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 ივლისის №127 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 ივლისის №127 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 4).**

5. შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის №165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის №165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის №165 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 5).**

6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №204 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №204 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კოლეჯის წარმომადგენელმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია აღმზრდელის პროგრამაზე უკვე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს დატოვებს არსებულ პროგრამაზე და მიანიჭებს ძველ კვალიფიკაციას. ახალ ნაკადს მიიღებს მოდიფიცირებულ პროგრამაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ცვლილება განხორციელდეს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №204 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 6).**

7. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №187 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №187 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №187 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 7).**

8. შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №216 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №216 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №216 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 8).**

9. შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის №218 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

თავჯდომარემ დააყენა შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის №218 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა. კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის №218 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 9).**

10. შპს - მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №124 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №124 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს - მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №124 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 10).**

11. შპს - ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №143 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №143 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია -

განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს - ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №143 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 11).**

12. სსიპ - კოლეჯი „მოდუსისათვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 4 თებერვლის №03 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

კოლეჯის დირექტორმა დაადასტურა წარმოდგენილი შუამდგომლობა, მან განაცხადა, რომ პროფესიული სტუდენტები ჯერ არ ჰყავთ, თუმცა მოთხოვნა არსებობს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „მოდუსისათვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 4 თებერვლის №03 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ - კოლეჯი „მოდუსისათვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 4 თებერვლის №03 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 12).**

13. შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №190 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო მაჭარაშვილმა დაადასტურა, რომ დაწესებულება ამ პროგრამას ახორციელებს სამი ლოკაციაზე. აქედან ერთი ლოკაცია თბილისშია და მეორე - საჩხერეში. ძალიან აქტუალურია ამ პროგრამის განხორციელება საჩხერეში. სტუდენტებსაც გაესაუბრა და თანახმა არიან ამ ცვლილებაზე. ყველა სტუდენტს გადაიყვანენ

მოდიფიცირებულ პროგრამაზე. პროგრამა ერთი წელია, რაც ხორციელდება. მსურველები ნამდვილად იყვნენ, უბრალოდ მათ გვიან გამოაცხადეს მიღება. დარწმუნებულები არიან და სჯერათ, რომ წელს უფრო დიდი ნაკადი მოვა და მეტი კმაყოფილი სტუდენტი ეყოლებათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №190 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №190 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 13).**

14. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 09 სექტემბრის №170 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა,

დაწესებულების წარმომადგენელმა ვასილ კიკნაძემ დაადასტურა, რომ კოლეჯი მზადყოფნას გამოთქვამს, წარმატებით განახორციელოს მოდიფიცირებული პროგრამა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 09 სექტემბრის №170 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 09 სექტემბრის №170 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 14).**

15. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების

მინიჭების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის №10 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის №10 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. კერძოდ, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის პროგრამაში შეიცვალა მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, მეხუთე დონე და კოდი - 0112.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის №10 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 15).**

16. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №57 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ჩარჩო დოკუმენტთან დაწესებულების პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას. შეიცვალა ბიბლიოთეკარის ჩარჩო დოკუმენტი, რომლის სახელწოდება გახდა „საბიბლიოთეკო საქმე“ და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში“, მეოთხე დონე. შესაბამისად, შეიცვალა კვალიფიკაციის კოდიც. უნივერსიტეტმა წარმოადგინა განახლებულ ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანილი პროგრამა, საკითხი შეისწავლა სამსახურმა და აღნიშნულ საკითხზე დაიდო დასკვნები, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ პროგრამის მოდიფიცირება სწორადაა განხორციელებული. ამ შემთხვევებშიც ექსპერტების ჩართვა არ იყო აუცილებელი და სამსახური უფლებამოსილი იყო, თავად შეესწავლა აღნიშნული საკითხი. შესაბამისად, სამსახური შუამდგომლობს საბჭოს წინაშე, ცვლილება შევიდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №57 გადაწყვეტილებაში.

ამავე დროს, ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის წერილშიც და ხარისხის ცენტრის თანამშრომლის სამსახურებრივ ბარათშიც მითითებულია, რომ უკვე ჩარიცხული სტუდენტები დაასრულებენ ამ პროგრამას ძველი კვალიფიკაციით, ხოლო ახლები ჩაირიცხებიან ახალ კვალიფიკაციაზე, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად აქვს საბჭოს უფლებამოსილება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში შეიტანოს ცვლილება, რაზედაც ქალბატონმა ნანიმ უპასუხა, რომ მას შემდეგ, რაც „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონში 2018 წლის 9 ოქტომბერს შევიდა ცვლილებები, „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის მიღების პარალელურად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ნებისმიერი სახის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელების საკითხებზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მამუკა გოგელიამ დაადასტურა, რომ ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც ჩარიცხულები არიან ბიბლიოთეკარის პროგრამაზე, დაასრულებენ ბიბლიოთეკარის კვალიფიკაციით, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა ახალ ნაკადს უნივერსიტეტი მიიღებს საბიბლიოთეკო საქმის პროგრამაზე.

წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რაც დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენელმა, კერძოდ:
პროგრამის სახელწოდებაა - საბიბლიოთეკო საქმე, მეოთხე დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში, კოდი - 0233,

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №57 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №57 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 16).**

17. სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №131 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

18. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №134 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს განუმარტა საკითხის არსი - ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ განთავსების ადგილი არის გლდანი. აქამდე ფიქსირდებოდა მისი მისამართი,

როგორც ხიზანიშვილის ქუჩა. იანვარში ამ ქუჩას სახელი გადაერქვა და კოლეჯისთვის ახალი მისამართი განისაზღვრა - ქ.თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა N44. დაწესებულებამ გვაცნობა აღნიშნულის შესახებ და ცენტრი შუამდგომლობს საბჭოს წინაშე ამ დაწესებულების ორ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნოდარ ხარაზიშვილმა დაადასტურა საკითხის არსი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისში დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №131 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

საბჭოს წევრის, გიორგი ტრაპაიძის კომპიუტერს პრობლემა შეექმნნა და ვერ დამყარდა მასთან კომუნიკაცია. შესაბამისად, მან ვერ მიიღო მონაწილეობა შემდგომ კენჭისყრებში.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №131 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 17).**

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №134 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №134 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 18).**

19. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №87 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

20. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №151 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

21. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №42 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ნანი დალაქიშვილმა დღის წესრიგის მე-19-ე, მე-20-ე და მე-21-ე საკითხებთან დაკავშირებით ერთიანად მიაწოდა საბჭოს ინფორმაცია. დაწესებულებამ ერთი წერილით დააყენა შუამდგომლობა (22 მაისის წერილის N389511), 11 ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კვალიფიკაციის ექვსნიშნა კოდის ოთხნიშნა კოდით შეცვლის თაობაზე. დაწესებულებებს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის პარამეტების შესაბამისობაში მოყვანა შეუძლიათ 2020 წლის სექტემბრის ბოლომდე, მაგრამ დაწესებულებას, პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადების მიზნებისთვის სურვილი აქვს, კოდები შეცვალოს ამ ეტაპზე. ეს პროგრამებია: რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა, რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი, რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა, სარკინიგზო გადაზიდვები, ლოკომოტივის მართვა, რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება, სავაგონო მეურნეობა, რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობა, ბუღალტრული აღრიცხვა, საოფისე საქმე და გადაზიდვების ლოგისტიკა. ეს 11 პროგრამა გადანაწილებულია სამ სხვადასხვა გადაწყვეტილებაში: 2019 წლის 22 მარტის N87 გადაწყვეტილება, 2018 წლის 7 სექტემბრის N 151 გადაწყვეტილება და 2018 წლის 20 მარტის N42 გადაწყვეტილება გადაწყვეტილებების პროექტები მოწოდებულია საბჭოსთვის.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №87 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №87 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 19)**.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №151 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №151 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 20).**

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №42 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №42 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 21).**

22. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 მარტის №34 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ნანი დალაქიშვილის განმარტებით, საკითხი ეხებოდა კვალიფიკაციების კოდების ცვლილებას. ექვსნიშნა კოდი იცვლება ოთხნიშნათი საოფისე საქმის და ღონისძიებების ორგანიზების პროგრამებში. საოფისე საქმის კვალიფიკაციის კოდი გახდება - 0415 და ღონისძიებების ორგანიზების პროგრამის კვალიფიკაციის კოდი - 0413. ამ შემთხვევაშიც იგივე საკითხია, კერძოდ, გამოცხადების მიზნებისთვის სასურველია და დაწესულებას სურს ცვლილებების განხორციელება, რის თაობაზეც განაცხადა წერილით, რომელიც შეისწავლა სამსახურმა და ახლა შუამდგომლობს საბჭოსთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიკა ვარდოსანიძემ დაადასტურა, რომ საკითხი ეხებოდა მხოლოდ კოდების ცვლილებას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 მარტის №34 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 მარტის №34 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 22).**

23. სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დაწესებულებამ 9 ივნისს ცენტრს მომართა წერილით (წერილის N 447358) და ითხოვა 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებიდან ამოღებული იქნას - ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროგრამა. ,,ბლექსის“ გარკვეულწილად პროგრამების გაუქმებით გამოუთავისუფლდება ის ფართი, რომელიც შესაძლოა ახალი მოდულური პროგრამების დასამატებლად იყოს საჭირო. ამდენად, სამსახური შუამდგომლობს საბჭოს წინაშე პროგრამის ამოღებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, აღნიშნა, რომ სტუდენტებმა პროგრამა დაასრულეს, შესაბამისი კვალიფიკაცია მიენიჭათ და ამდენად, შესაძლებელია ამ პროგრამის გაუქმება.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი გოგიტიძემ დაადასტურა პროგრამის გაუქმების საკითხი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 23).**

24. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წერილით მიმართა ცენტრს. პირველად, ამ ეტაპზე, საავიაციო უნივერსიტეტი აპირებს პროფესიული სტუდენტების მიღებას პროფესიული ტესტირების გზით. იმისთვის, რომ ხელი შეეწყოთ და ამ პროცესში გარკვეული დაფინანსებაც მოიპოვონ ამ სტუდენტებმა, გარკვეული ცვლილებები შევიდა პროფესიული ტესტირების დებულების, , რადგანაც ეს არის ინგლისურენოვანი პროგრამა და შიდა კონკურსის ჩატარების უფლება მიენიჭება საავიაციო უნივერსიტეტს. ამდენად ერთი ჩანაწერი ტექნიკურადაა გასასწორებელი გადაწყვეტილებაში. კერძოდ, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის №26 გადაწყვეტილებაში პროგრამისათვის „საჰ აერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება“ 2 მიმართულება ერთადაა ჩაწერილი (B 1.1. და B 2), ეს პროგრამა არის ერთი, თუმცა აქვს ორი მიმართულება. პროფესიული ტესტირების გზით გამოცხადების მიზნებისთვის თითოეული მიმართულება გადაწყვეტილებაში ცალ-ცალკე უნდა აისახოს და მიეთითოს შესაბამისი პარამეტრები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წერილში ამის თაობაზე არის დეტალური აღწერა, მოცემულია პროგრამის ორივე მიმართულების პარამეტრები. სამსახური შუამდგომლობს საავიაციო უნივერსიტეტს, რომ ცვლილება შევიდეს გადაწყვეტილებაში. სასურველია, ცალ-ცალკე დაფიქსირდეს თავისი პარამეტრით ეს ორი მიმართულება და, შესაბამისად, ანკეტა-კითხვარში აისახება და გამოცხადდება მიღება ცალ-ცალკე პროგრამაზე.

წაკითხულ იქნა პროგრამების პარამეტრები:

1. პროგრამის დასახელება - საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B 1.1.) , მეხუთე დონე, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია- უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში, კოდი 0716, კრედიტების რაოდენობა - 127,5/127,5, სწავლების ენა-ინგლისური, ადგილების ზღვრული რაოდენობა - 60.
2. პროგრამის დასახელება - საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B 2), მეხუთე დონე, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში, კოდი 0716, კრედიტების რაოდენობა - 121,5/121,5, სწავლების ენა-ინგლისური, ადგილების ზღვრული რაოდენობა - 30.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბექა ბუიძემ დაადასტურა პროგრამების პარამეტრები და თქვა, რომ, როგორც ქ-ნმა ნანიმ აღნიშნა, პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული სტუდენტების მიღების მიზნებისთვის ტექნიკური ხასიათის პრობლემა შეიქმნა. პროგრამაში არსებული ორი მიმართულებაა, რომელსაც განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა აქვს. ერთ პროგრამად ვერ დარეგისტრირდება ანკეტა-კითხვარში და ამის გამო დაწსებულებამ მომართა ცენტრს საბჭოს გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანის თხოვნით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის №26 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 24).**

სხდომა დასრულდა 15:40 საათზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ